საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030126852263819

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/1327 **28 / იანვარი / 2019 წ.**

ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნინო ჩიბჩიურს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2019 წლის 18 იანვარს შემოსული თქვენი N6805 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვდით ინფორმაციას დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კუთხით განხორციელებული საქმიანობის შესახებ, გაცნობებთ შემდეგს:

კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების (სოფლად სახლი) შესყიდვის პროგრამის ფარგლებში სამინისტროს მიერ 2017-2018 წლებში დევნილი ოჯახებისათვის შესყიდულია 1321 უძრავი ქონება.

2018 წელს გრძელვადიანი განსახლების მიზნით გაიხსნა 13 ახალი ობიექტი და შედეგად 592-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო საცხოვრებელი ფართი ახალაშენებულ კორპუსებში.

ქალაქ გორში 29 ბინიანი კორპუსის რეაბილიტაცია განხორციელდა და აღნიშნულ ობიექტზე სრულად მოხდა დევნილების განსახლება. ასევე 2017-2018 წლებში განხორციელდა 122 საცხოვრებელი ფართის კერძო მესაკუთრისაგან გამოსყიდვა.

2017-2018 წლებში იპოთეკური სესხების დაფარვის მიზნით, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 282 დევნილ ოჯახზე.

2017-2018 წლებში განხორციელდა დევნილთა მიერ მართლზომიერად დაკავებული 3225 საცხოვრებელი ფართის მათივე საკუთრებაში გადაცემა.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ქეთევან ფხაკაძე

ღონისძიებათა დაგეგმვისა და
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამმართველოს უფროსი, მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი